15 აგვისტო 1930 წ. № 15 (39) წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.




ახალი კადრები წარმოებაში

მუშა-ქალი უხსნის მოწაფეს მანქანის მოწყობილობას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

დაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16.
**სავალი წულუკიძის ქუჩიდან**

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
**დაწუნებული მასალა არ ბრუნდება.**

F686



სკიზი მ. თოიძის

## პურის მოსავალი სოფლად




რუსი კოლმეურნე ქალები სამუშაოზე

# ა ხ ა ლ ი  კ ო ლ ხ ი დ ა

## სუბტროპიკული პოემა

### ზღვის კურორტი: ანაკლია

ეს ბარბაროსული ჩვეულება მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე შეირჩინა სამეგრელოს ფეოდალიზმმა.

მთელი ლეგიონები იყო წარსულში კაიროში, კონსტანტინოპოლში, და სხვა მაჰმადიანური აზიის ცენტრებში გაყიდულ მონებისა, რომელთაც მამელუკები ერქვათ.

ზოგის ცნობით, ზოგი მათგანი სახელგანთქმულ ნაპოლეონსაც ებრძოდენ ეგვიპტეს დაპყრობის დროს.

ერთი ასეთი მამელუკის საოცარი თავგადასავალი ნაამბობი აქვს **უიარალის** თავის ყოველმხრივ შესანიშნავ მოთხრობაში — **„მამელუკი"**.

ეს მოთხრობა ჯერ კიდევ არ არის ისე დაფასებული, როგორც ეკუთვნის ამ პატარა შედევრს. საჭიროა ეს წიგნი ცალკე გამოიცეს, რომ დღევანდელმა ახალმა მკითხველმა იგრძნოს ფეოდალიზმის უკუღმართობის ისტორია.

ამ მხრივ ეს მოთხრობა შეიძლება შეუდარებელიც იყოს ახალ ქართულ მწერლობაში.

ფრანგი მოგზაური კავალიერი შარდენი, რომელსაც სპარსეთში უმოგზაურია სამეგრელოდან, სადაც დიდი გაჭირვება გამოუვლია, იგონებს ასეთ ამბავს:

როცა თურმე ერთმა თავადმა გადაწყვიტა ცოლი შეერთო, დაიწყო ქორწილისათვის მზადება.

უეჭველია ქორწილი ჩინებული უნდა გადაეხადა და ამისათვის მიუხედავათ ნატურალურ მეურნეობისა, მაინც ფულები დასჭირდებოდა. ამ დროს თურმე ანაკლიის პორტს მოადგა უცხოელი ხომალდი და თავადი რის თავადი იყო, თუ ხომალდის მოსვლას არ გამოიყენებდა და გადაუწყვეტია თავისი ყმების გაყიდვა.

მაგრამ გლეხებსაც კარგათ ცოდნიათ თავიანთი საზიზღარი პატრონის ბინძური ჩვეულება და ცოლშვილიანათ დედაწულიანათ ტყეებში გახიზნულან.

ფეოდალის გულის წყრომას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ტყეებში გასულ ხალხს რას დააკლებდა.

მაშინ თურმე თავადმა გადაწყვიტა ასეთი ოინის გაკეთება.

მოიმიზეზა ახლად გარდაცვალებული მამის სულის ხსენება და გადაწყვიტა წირვის გამართვა.

დაუძახა თორმეტამდე მღვდელს, მაგრამ წირვა ჯერ შუამდე არ მისულიყო, რომ სტაცეს ხელი, სათითაოდ გაპარსეს და გაყიდეს „წმინდა" მამები ოსმალეთში მონებათ.

ადვილი წარმოსადგენია, **თუ სამღვდელოებას ასე ექცეოდა, რა ხელს დააყრიდა თავის ყმებს...**

ქართულ კლასიკურ მწერლობაში ჩვენ უკეთესი ადგილიც მოგვეპოვება ამ სამარცხვინო ადამიანის ვაჭრობის შესახებ. ეს არის უმთავრესად „კალმასობა" უდიდესი ეპოქის მე-18 საუკუნის ფეოდალურ საქართველოსი, სადაც პირველად გაისმა ბატონყმობის წინააღმდეგ ხმა ქართულ მწერლობაში. „კალმასობა"-ს იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია ბერი იოანე ხელაშვილის მოგზაურობა იმერეთში, ჩვენ ასეთი ეპიზოდი გვხვდება: გურიის მთავარს, გურიელს საუბარი აქვს იოანე ბერთან ადამიანთა მოსყიდვისა და ვაჭრობის შესახებ.

მთავარს სამარცხვინოთ მიაჩნია ვაჭრობის ხელობა.

გურიელს უზარმაზარი ჯოგი ჰყავს ჯიშიანი ცხენებისა, მაგრამ ერცხვინება გაყიდვა, ეს არ შემვენის კეთილშობილ გვარსო.

მაშინ ბერი იოანე მიმართავს მრისხანე თავადს და პირში მიახლის—როგორ არის, რომ ამ თავადებს ცხენების გაყიდვა სამარცხვინოთ მიაჩნიათ და თავიანთ ყმებს, ადამიანის შვილებს ასობით ყიდიან ურჯულოებზე, განა ადამიანები ცხენებზე უფრო გასამეტებელნიაო? უებნება ის მონებით მოვაჭრეს.

არც ისე შორს არის ის დრო, როცა ადამიანებს ძაღლებზე ცვლიდენ, როცა ცხენების გაყიდვას თაკილობდენ და ადამიანებს კი დაუნდობლად აშორებდენ თავის ქვეყანას და უცხოეთში მონებათ ჰკარგავდენ, სატანჯავათ და საწამებლად.

და ანაკლიის ზემო ციხეს კიდეც ჰქვია „სატანჯით".

ეს იყო უმთავრესი სტრატეგიული პუნქტი გლეხებზე სანადიროთ და მონებათ დატყვევებულ ყმების რეზერვუარი.

თითქო ზღვის ზვირთებში კიდევ ისმის ძუძუმწოვარა ბავშვებისა და უცხოეთში გასაუპატიურებლად გაყიდულ ქალ-ვაჟთა გამწარებულ დედების ყრუ-ქვითინი.

და როცა ამ მოგონების შემდეგ თვალს ავლებ ახალ სოციალისტურ მშენებლობას, რაღაც არაადამიანური ეროვნული გრძნობა ჩნდება გულის ტანში.

ამხ. ისაკი ქვანია გვიყვებოდა ამ ამბებს მთელ გზაზე—ანაკლიამდე.

აღტომობილი პირდაპირ მიადგა ენგურის ბორანს.

აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

ალბათ ელოდენ ჩვენ მისვლას.

ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება მიიქცია გრძელწვერიანმა რუსებმა. ჩასუქებული **უძვე მზით გამურული რუსის მუჟიკები დიდი ალამ-სალამით მიესალმენ ისაკის.**

ეხლა კი მართლა დაიჩრდილა ისაკის მაზოტიური წვერ-ულვაში, მაგრამ „ხოდოკებთან" ერთად თავის მოიყარეს მეგრელებმაც.

იმპროვიზაციით პატარა მიტინგი მოეწყო.

პირდაპირ გაიმართა საუბარი საჭირ-ბოროტო საქმეებზე, ეს ასე ვთქვათ, გაერთიანებული პლენუმია მთხოვნელებისა.

### „შაბათობა"

ირკვევა, რომ აქ შაბათობა ყოფილა მოწყობილი ზღვის ნაპირის გასაწმენდათ, ამიტომ ყოფილა ამდენი ხალხი შეკრებილი. ნაწილი ელოდა ბორანით მეორე ნაპირას გადასვლას, ნაწილი კიდევ გაღმა მუშაობდა.

ამ სამუშაოს დასათვალიერებლად მივდიოდით ჩვენც.

როგორც გამოირკვა 40-მდე ყუბანელ რუსს უთხოვია აქ დასახლება. ადგილობრივ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს წააქეზოს მეთევზეობა ამ კუთხეში და ამიტომ დაურთავს ნება რუსი მეთევზეებისათვის აქ დასახლებისა.

აქ მიწა ბევრია, მაგრამ საჭიროა დიდი კულტურა, რომ გამოსადეგი გახდეს. უმთავრესად, რასაკვირველია, მალარიაა ამ ადგილის მუსრის გამგელები.

ისე ბევრია აქ გამოსადეგი ადგილი, რომ ერთმა სოფელმა არც კი იცის მეორე სოფელში ვინ ესახლება: ასე იყო ჭალადიდშიც:

იმერეთში კი ერთი ნაჭერი მიწისთვის, წინათ მაინც, ძმა-ძმას თავს გაუპობდა.

როგორც განზრახულია ამ ტემპით რომ წავიდეს აქ ჩაისა და სხვა ძვირფასი მცენარეთა კულტურის გაშენება, არავითარი ეჭვი არ არის, რომ მუშა ხელით მდიდარ დასავლეთი საქართველო სანახევროდაც ვერ აწვდება მუშა-ხელის მოთხოვნილებას.

განსაკუთრებით დიდი შრომაა საჭირო ჩაის მომზადებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ეგუება შრომის მექანიზაციას.

### ენგური ზღვის შესართავთან

ამ ადგილას მე პირველად ენახე ენგური, ენგურზე კი ბევრი რამ უცხო და ფანტასტიური მსმენია.

უთქვამთ თურმე ტბორია ენგურთან შედარებითო. ამიტომ ენგურის ნახვას მოუთმენლად მოველი.

მაგრამ აქ ენგური შავ ზღვის ერთვის და მთის მდინარის ყველა თვისება დაკარგული აქვს, არავითარი გარჩევა არ იყო ჭალადიდის რიონისაგან.

ძეგონა კიდეც ეს რიონია და მხარი მეცვალა.

აქ ენგურს მეორე ნაპირს თვალს ვერ გაუწვდენ, ისე ფართო აქვს კალაპოტი, უნდათ კი ამ ადგილს საცალფეხო ხიდი ააგონ.

წინათ ეს იქნებ შეუძლებელიც იყო, მაგრამ, როცა აკვირდები გარშემო მშენებლობის ტემპებს, უკვე შეუძლებელი არაფერია.

ნაპირზე ალაგებული ბადეებია გაშლილი, ზოგი შრება, ზოგს კიდევ აკერებენ და ლამბავენ. ბადეებიც სხვადასხვანაირია, ზოგი ჩვენთვის უცნობია, ზოგი კი ბავშობიდან მახსოვს, როგორც „ხოლოხი" ბადე და ზუთხის საჭერი კვახიანი ბადეები.

ასეთ ბადეებს ორპირში ხმარობენ ზუთხის საჭერათ.

ნაპირზე პატარა ხომალდებია მომდგარი და ალაგებული ნავები.

ნავებში გაირჩევა მეგრული ბაიდები.

ზღვით უფრო მკაფიოთ მოსჩანს ციხე ანაკლია.

იმ ადგილს, სადაც ენგური უერთდება ზღვას, ჩნდება ნახევარკუნძული.

სწორედ ამ ადგილზეა განზრახული კურორტის გაშენება.

ჩვენც უნდა გავიდეთ გაღმა.

მოაცურეს ნავები: „გედი" და „მეომარი"

მომაგონდა როცა ფოთში ვიყავი და პალიასტომის ტბაში უნდა შევსულიყავით, ყველანი დაფიქრებული იყვნენ არ გვირჩევდნენ ზღვაზე გასვლას, ძალიან სახიფათოო, წუხელის ღელვა იყო და „ტბორია"-ო.

იმდენი ხანი იმეორეს მაშინ ეს სიტყვა, თანაც ისეთი დაშინებული ხმით, რომ ძალა უნებურად მეც გადამედო მათი შიში.

აქაც ხომ ზღვის შესართავია და ენგურიც რაც არ უნდა იყოს ენგურია, თვინიერი კია, მაგრამ ალბათ ერთი შეხედვით.

ვინ იცის ძნელი სანდობია ეს თვალუწვდენი ენგური.

ამის გარდა მე უკვე დიდი ხანია არ მიცხოვრია ორპირის რაიონთან. და შეიძლება ვერც კი მოვიგონო ცურვა, თუმცა ბავშობისას კარავისზე ნაკლები ცურვა არ მცოდნია.

ამას გარდა ჩვენი კინო ექსპედიციის ჯგუფის მეთაური რეჟისორი ქალია და ამ შემთხვევაში რაინდობა სავალდებულოც არის, მაგრამ, როცა შევავლე თვალი რამდენიმე მენავეს, რომელნიც საქმეს თასმასავით გაკროდნენ, გული დამიმშვიდდა.

ისე კი მართლა კაცს გული შეუღონდება ამ ნავში.

მივადექით ერთ ადგილას, ნავი სილაზე გა[illegible], ვალმიდან გამოვიდენ მეგრელები და როგორც იყო გაგვიყვანეს მეორე ნაპირას.

ჩვენ თვალის წინ გადაშალა თვალწარმტაცი სურათი.

## გარსია ვენტურა კალდერონის პერუს პეიზაჟი

ეჭვი არ იყო ნამდვილი პერუს ლანდშაფტი წარმოსდგა ჩვენ წინ, გგონია თითქო ტყიდან გამოვა „პერუს მოთხრობების" ავტორი მექსიკანელი მწერალი გარსია ვენტურა კალდერონი, რომელიც სიამაყეა ლათინურ ამერიკის ახალი მწერლობისა.

ეს კალდერონი ჩემი უკანასკნელი გატაცებაა, მისი ოფორტები მოთხრობებით უფრო მეტყველია, ვიდრე ზოგიერთი ტრაქტატები ტროპიკებზე.

აქ მართლაც სუბტროპიკების ზენიტია.

ამ კუნძულზე ძველიდან დარჩენილი თათრებია დასახლებული.

ეხლა მათთვის სხვაგან მიუციათ სამოსახლო ადგილები, აქედან კი აყრილან, რადგან კუნძული უნდა გაიწმინდოს.

ზოგ სახლებს ეხლა ილებენ. მაგრამ ამ სახლებს მხოლოდ სახელი ქვიათ სახლებისა, ისე ფაცხებია ჰუჰყიანი და ჭვარტლიანი.

სახლების უკან მიმდგარი გაუტეხელი ტყე. წინ ალვის ხეებითა და ვერხვებით დაბურული ეზოებია.

იშვიათი პლიაჟია.

ხაპარის ქვიშა მაგარია, მაგრამ ფოთოლივით ნედლი, გეგონება სველ აბრეშუმს ეხებით.

ზღვის ნაპირზე წყალი არ არის ღრმა, ზოგან რამდენიმე კილომეტრზე კაცი არც კი დაიყურება.

ამ ადგილს ორი მხრიდან ხვდება ქარი.

თუ წარმოიდგენთ, რომ ანაპამდე შავ ზღვაზე არ არის საბავშო კურორტი, მაშინ ადვილი იქნება იმ ენტუზიაზმის გაგება, რომლითაც აღტაცებულია ამ საქმის მესვეური ხალხი

## ეხლა საქმეზე გულდაგულ

ყველაფერს აბრკოლებს უსახსრობა, მაგრამ უსახსრობას კიდევ გაუძლებს კაცი, ეხლა მეტი საშუალება გვაქვს გავაჩაღოთ ახალი წამოწყება, ზოგჯერ უფრო ძნელია ცენტრში აუხსნა ადგილობრივი საჭიროება. უნდა თვალით ნახოს კაცმა რიდან რა საქმე გამოვა.

ეს ადგილი ამას წინად დაათვალიერეს **შალვა ელიავამ და ლევან ლოლობერიძემ:** ორთავენი აღტაცებაში მოვიდენ და დაგვპირდნენ დახმარებას.

ეხლა აქ შაბათობა არის, ხალხი თვითონ გამოვიდა სამუშაოთ. ცოტა ხნის შემდეგ რომ მოსულიყავით და გენახათ ბევრათ აჯობებდა. ზოგი სამუშაო გაკეთებული იქნებოდა, ბაღსაც გავაშენებდით, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის აყვავებული.

ეს უნდა ნახოთ მაისის ბოლოს. — სილამაზე თვალის მომჭრელი.

მაგრამ ჩვენთვისაც ადვილია იმის წარმოდგენა, რომ ეს სილამაზე მართლა ზღაპრულია

დიდი ენტუზიასტია ამ შაბათობის მომწყობი თემლომმასკომის თავმჯდომარე **აქსენტი ყორშია.**

აქსენტი მეგრულად აზარებს ისაკის პატაკს.

ისინი სხაპა-სხუპით ლაპარაკობენ. გარშემო მეგრელებიც ერევიან ლაპარაკში.

იწონებენ აქსენტის ნალაპარაკევს, ალბათ პირობას იძლევიან მალე მოათავონ სამუშაო, საერთოდ დიდი იმედი აქვთ ამ კურორტის, ამას მალე შეიტყობ და თოლადაც მეგრული რომ არ იცოდე.

სიტყვაზე უფრო მეტყველია მათი სახე.

ყველაფერს ამბობენ გაბრწყინებული, გახარებული და დაიმედებული გლეხის თვალები.

მაგრამ, როგორია კლიმატიური პირობები?.. ვეკითხებით ჩვენ ისაკის.

აქ კი ვერ მოვასწარი ჩამეწერა ერთი მეათედიც:

ამხანაგი ისაკი ლაპარაკობდა: ქართულად, მეგრულად, რუსულად.

პროფესორ კორინინის დასკვნით, 24 წლის გამოცდილებით, ხალხის დაკვირვებით, მისი საკუთარი მოსწრებითა და გამოკითხვით მერე სხვადასხვა ექსპერტებისა მედიცინის ავტორიტეტებისა დასკვნით, ეს ადგილი სწორეთ გამოჭრილია საბავშო კურორტისათვის. მე თავში მიტრიალებდა ანტიური და თანამედროვე მედიცინის მამამთავრის წყეული ჰიპოკრატეს მომაკვდინებელი დახასიათება ამ კოლხიდისა და მისი მალარიის დიაგნოზი.

მაგრამ ისაკიმ აქაც უარჰყო ყოველივე ხსენება კოლოებისა და მალარიისა და საერთოდ ყველა ასეთი „მავნებლებისა".

ყოველ შემთხვევაში, როცა მოთავდება კოლხიდის დაბლობის ამოშრობა ანაკლიის საბავშო კურორტი მთელ კავშირში გაითქვამს სახელს.

## პიონერების ბანაკები „სატანჯიოს" დაბლა

თავზე გადაგვიარა გარეულ იხვების გუნდმა. ეხლა ჩვენ ვისმენთ როგორია საერთოდ ანაკლიის მიდამოების სამეურნეო პერსპექტივები:

სიმინდი და თხილი: აქედან უნდა გაიტანონ ხე-ტყე. ამ რაიონში უთვალავია და ზევით ენგურიდანაც ჩამოაქვთ, აქ კარგათ დაწყვდება გზა, ახლო შენდება უზარმაზარი შამგონის ქაღალდის ქარხანა, არა მარტო საქართველოსათვის, მთელი ამიერ-კავკასიისათვისაც.

მესაქონლეობის მომავალი უზრუნველყოფილია.

რამდენიმე ათასი ჰექტარი ეხლაც დათესილია თუთუნი.

მეაბრეშუმეობით განთქმულია ეს კუთხე

ეხლა ჩაის პლანტაციების და რამის თესვასაც შეუდგენ.

მაშინ ძველი ანაკლიის სახელოვანი პორტის სახელიც აღდგება, მართლაც პორტი აქ მხოლოდ უკანასკნელად იმპერიალისტურ ომის დროს გაუუქმებიათ. ეხლა მხოლოდ სანაპირო ჯარის ნაწილების სადარაჯო პუნქტია

უკან დაბრუნებისას უფრო დიდი გვეჩვენა დაბა ანაკლია.

ფოსტა-ტელეფონის კანტორას რადიო მიეწოდა.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის—სუბტროპიკული, აგროინდუსტრიალური ტექნიკუმი.

ბაღებში ახლო თითქო დელფინების ქარხანაც გაჩნდა.

მაგრამ პირველ ყოვლისა და უმთავრესად ჩვენ გონებას ეხატებოდა:

ანაკლიის პლიაჟზე „სატანჯიოს" დაბლა გაიშლება პიონერების ბანაკები.

პატარა საყვირები და დოლდოლები შეუერთდებიან ენგურის ზვირთებს და ათასობით მზით დარუჯული ვიგო-ბიჭები საბავშო მოედნებზე ტანს გაიმრთელებენ და ჯანსაც მოიმატებენ.

ენგურზე გაჩნდება წაქცეულ ეიფელის კოშკის მაგვარი საცალფეხო ხიდი, გაიშლება საბავშო სანატორია და კულტურისა და დასვენების პარკი და იმ „სატანჯიოს"—მაგიერ, როცა ფეოდალიზმის შავბნელ დროს დედებს გულიდან უსისხლოთ სტაცებდნენ ძუძუმწოვარ ბავშვებსაც კი, და როცა ქალწულებს თხების ველად ძოვება არ შეეძლოთ, მოიტაცებდნენ და სათათრეთში მონებათ გაყიდდენ, ეხლა აგუგუნდება ახალი ცხოვრება, ადგებიან ახალი კადრები, ახალი წყობილების განმამტკიცებლად.

ზღვის კურორტი ანაკლია პირველი უჯრედია შავი ზღვის სანაპიროების მთლიანი კურორტისა, რომელიც ორას კილომეტრზე გაიჭიმება ბათომიდან სოხუმამდე, სადაც იქნება მუშებისა და გლეხების უმთავრესი „ჯანმრთელობის სახელოსნო".

მე მჯერა არ გავა რამდენიმე წელი და ზღვის კურორტი ანაკლია ყველას ელოდინება.

ჩვენ დავესწარით პირველ „შაბათობას", პირველ აგურის ჩადგმას და საძირკველის ჩაყრას, და მიხარია, რომ პირველს მიხდება წერა ამ დიდი გამარჯვების შესახებ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

**ტიციან ტაბიძე.**

# წითელი მებრძოლნი ბანაკად













ორ თვეზე მეტია, რაც წითელი ჯარის ნაწილებმა დასტოვეს საზამთრო ბინები და გავიდენ ბანაკად. აქ, კარავთა ქალაქებში, წითელი მებრძოლები გულმოდგინეთ მეცადინეობენ, ალრმავებენ ზამთრაში მიღებულ ცოდნას, სწავლობენ ბრძოლის ხერხებს, რათა აღჭურვილნი სამხედრო ხელოვნების ყველა დარგებით, საჭირო დროს ვაჟკაცურად დახვდნენ მათ, ვინც მოისურვებს ხელი შეუშალოს სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა ქვეყანაში.

საბანაკო სამზადისი წრეულ დაიწყო გაზაფხულით. წითელი ჯარის ნაწილებმა მიზნად დაისახეს კულტურული ბანაკის მოწყობა, ისეთი ბანაკის, რომელიც ერთ და იმავე დროს იქნებოდა სწავლებისა და დასვენების საუკეთესო ადგილი. ბანაკის მოწყობის ირგვლივ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ნაწილები ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ ბანაკის საუკეთესოდ მოწყობაში და საბოლოოდ მიზანიც მიღწეულ იქნა.

გორის ბანაკი დღითი დღე უმჯობესდება, აგებულია ლამაზი სახლები, ბიბლიოთეკა - სამკითხველოები, დასასვენებელი და სასპორტო მოედნები. ბანაკის მიდამოებში დარგულია მრავალი ათასი ხე.

ავჭალის ბანაკი, რომლის მოწყობაში საქართველოს მშრომელებმა მიიღეს უახლოესი მონაწილეობა, წარმოადგენს საუკეთესო ადგილს სწავლებისათვის. ავჭალის ბანაკი მოკლე ხანში გადაიქცევა ერთ-ერთ პირველ ბანაკად მთელს საბჭოთა კავშირში.

— : —

როდესაც ეცნობი რომელიმე ქარხანას, როდესაც ესაუბრები დამკვრელი ბრიგადის წევრს, გრძნობ, რომ მთელი ყურადღება მიქცეულია საწარმოო - საფინანსო გეგმის შესასრულებლად. ამა თუ იმ ქარხნის მუშები სჭიმავენ, არ ზოგავენ ენერგიას, რათა პირნათლად შეასრულონ გეგმა და აჩვენონ მტერს თუ მოყვარეს, თუ რის გაკეთება შეუძლიან მუშათა მარჯვენას. ასეთივე სურათია დღეს ბანაკად. მებრძოლთა მთელი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ საუკეთესოდ შეასრულონ თავისი „საწარმოო-საფინანსო გეგმა", მხოლოდ მათი გეგმაა—საბრძოლო მომზადება.

ზაფხულის პერიოდი საუკეთესო დროა საბრძოლო სწავლებისა და მომზადებისათვის მინდვრად არის მრავალი შესაძლებლობა, რომ არმიელი ახლოს გაეცნოს სამხედრო ხელოვნებას და ივარჯიშოს პრაქტიკულად, ბანაკი საუკეთესო ადგილია საბრძოლო გეგმის შესასრულებლად.

ყოველმა არმიელმა კარგათ იცის, თუ რა უნდა აკეთოს, იგი იცნობს საბრძოლო მომზადების გეგმას და ეს აძლევს მას საშუალებას ზედმიწევნით შეასრულოს მეთაურთა ყოველი დავალება. საბრძოლო მომზადების გეგმა მიყვანილია ათეულამდე, ყოველ ცალკე მებრძოლამდე. როდესაც ესაუბრები წითელ მებრძოლს ტაქტიკურ მეცადინეობაზე გასვლის წინ, იგი გაძლევს გარკვეულ პასუხს, თუ რა მიზანს ისახავს მეცადინეობა, რა უნდა აკეთოს მან მიდვრათ, რა ამოცანა უნდა შეასრულოს მისმა ერთეულმა. ყოველი მებრძოლი ნათლად არის გარკვეული ამა თუ იმ პერიოდის სწავლებაში. ეს არის წითელი ყაზარმის უდიდესი მიღწევა.

ბურჟუაზიული არმიების ჯარისკაცები არიან თავისი მეთაურების ბრძანების ბრმა აღმასრულებელნი, წითელი მებრძოლი კი ბრძანებას ასრულებს სრული შეგნებით, მან კარგათ იცის, თუ რას, ან რისთვის აკეთებს.

საღამო ჟამს, როდესაც ჩამავალი მზის სხივები უკანასკნელად ეალერსებოდნენ თეთრ კარვებით დაფარულ კვერანკის მთას, მებრძოლებს მოეყარათ თავი დასასვენებელ მოედანზე. მოწვეული იყო ლეგიონის ერთ ერთი ასეულის კრება, სადაც უნდა განეხილათ მომავალი დღის მეცადინეობის პროგრამა. მეთაურმა დაწვრილებით ილაპარაკა პროგრამაზე, გადუშალა არმიელებს მთელი დღის სურათი. დაიწყო მსჯელობა. პროგრამის გარჩევაში მონაწილეობა მიიღო თითქმის მთელმა ასეულმა. მეორე დღეს, როდესაც ასეული დაბრუნდა მეცადინეობიდან, მებრძოლებმა მოიყარეს თავი დასასვენებელ მოედანზე და დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ ჩატარდა მეცადინეობა, ვინ უფრო კარგად შეასრულა ცალკე დავალება, სწავლების ასეთი მეთოდი საუკეთესო შედეგს იძლევა. მებრძოლი უშუალო მონაწილეა ყაზარმის მთელი ცხოვრების, მთელი სწავლების და იგი იცნობს თავის ნაწილის „საწარმოო - საფინანსო გეგმას" და ასრულებს მას სრული შეგნებით და პასუხისმგებლობით

— : —

ბანაკად მთავარი სროლაა. „არც ერთი ტყუილ - უბრალოდ დახარჯული ტყვია. ყოველი ტყვია მიზანს"—აი, ლოზუნგი სროლისა. და, უნდა ითქვას, რომ ქართული წითელი ჯარი საუკეთესოდ ახორციელებს ამ ლოზუნგს. კავკასიის წითელ - დროშოვან არმიის სასპორტო - სასროლო შეჯიბრების დროს 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის გუნდმა უჩვენა ყველას უდიდესი მიღწევები სასროლო საქმეში. მებრძოლებმა კარგად იციან იარაღის მოვლა-პატრონობა, მათი შენახვა, მოხ-



## ზოოპარკის ირგვლის აშენებენ ქვიტკირის გალავანს

მარება, დივიზიას ყავს ისეთი მსროლელები, რომლებიც არც ერთ ტყვიას არ აცდენენ მიზანს.

პირველმა დივიზიამ თავისი თავი გამოაცხადა დამკვრელად სროლის საქმეში და სცდილობს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დივიზიას ამ მხრივ ხვდება გამარჯვება, იგი მალე იქნება საუკეთესო მსროლელი დივიზია საბჭოთა კავშირის მუშურ - გლეხურ წითელ არმიაში.

1-ლ აგვისტოს — საერთაშორისო წითელ დღესთან დაკავშირებით, წითელ ყაზარმაში ჩატარდა დიდი მუშაობა. წითელი მებრძოლები ემზადებოდნენ ამ დღისათვის, უმარტავდნენ გლეხობას 1-ლ აგვისტოს მნიშვნელობას, აცნობდენ მათ, თუ როგორ ემზადება ბურჟუაზია ახალი ომისათვის და ვის წინააღმდეგ იქნება მიმართული კაპიტალის იარაღი.

ეს დღე ღირსშესანიშნავია იმით, რომ მან ნათელ ჰყო წითელი მებრძოლების სრული პოლიტიკური შეგნება - მომზადება. წითელი მებრძოლები ზედმიწევნით ერკვევიან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაში, იცნობენ პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკას.

გაზეთ „წითელ არმიელ"-ის თანამშრომლები აგვისტოს წინა დღეებში ესტუმრენ ავჭალის ბანაკს და გამართეს საუბარი არმიელებთან 1-ლ აგვისტოს შესახებ.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის არმიელმა ამხ. კოკილაშვილმა სთქვა: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბურჟუაზია ჩვენთვის ლესავს თავის იარაღს. მაგრამ მათ ტყუილად ჰგონიათ, რომ საბჭოთა კავშირი სუსტია. დეე მათ კარგათ გაითვალისწინონ შორეულ აღმოსავლეთის გაკვეთილი".

საარტილერიო ლეგიონის არმიელმა გ. თავზარაშვილმა გამოიჩინა კარგი მომზადება პოლიტიკურ დარგში.

„საბჭოთ კავშირი განიცდის ზოგიერთ საგნების და პროდუქტების სიმცირეს. ეს ყველამ კარგად იცის, იცის ისიც, რომ მშრომელთა მთელი ძალ-ღონე მიმართულია იქითკენ, რომ განვავითაროთ მძიმე ინდუსტრია, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავაყვავოდ ჩვენი მეურნეობა".

საკავშიროელებმა სთქვეს: „მისთვის სადა გვცალიან, როდესაც სხვა უამრავი საქმე გვაქვს. მაგრამ, თუ კი საჭირო იქნება, ჩვენ შევძლებთ მოუგრიხოთ მტეს კისერი ისე, როგორც ჩინელ ხუნხუზებს".

არმიელთა ეს სიტყვები მოწმობენ მას, რომ პოლიტიკურად ჩვენი არმია შეგნებულია.

არმიელებმა იციან, ვინ არის ჩვენი მტერი და მოყვარე.

— : —

ბანაკიდან დაბრუნებისას, წითელი ყაზარმა ისტუმრებს გრძელვადიან შვებულებაში მრავალ ათასს წითელ არმიელს, ეხლა ბანაკად მიმდინარეობს უდიდესი მუშაობა შვებულთა მოსამზადებლად სოფლად მუშაობისათვის.

1-ლი ქართული მსროლელი დივიზია შვებულთა სახით მისცემს სოფელს: 240 კოლექტივის ხელმძღვანელს, 15 მებამბეს, 120 მებაღეს, 140 მევენახეს, 70 მებოსტნეს, 130 ჩაის მეურნეს, 50 მეაბრეშუმეს, 213 ტრაქტორისტს, 205 კულტმუშაკს, 230 მოანგარიშეს და 472 მემინდვრეს.

აი, ასეთ მოქალაქეებს უბრუნებს წითელი ყაზარმა სოფელს.

— : —

ყაზარმას შემოდგომაზე დასტოვებს მრავალი ათასი არმიელი. უდიდესი შვებულთა არმია დაუბრუნდება სოფელს, რათა აწარმოონ მუშაობა სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად სოციალისტურ საფუძველზე. შვებულთა მაგიერ წითელ ყაზარმაში მოვლენ 1908 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ფაბრიკა - ქარხნებში და სოფლად.

წითელი ყაზარმა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა 1908 წელში დაბადებულთა სახით, მისცემს მას საუკეთესო ახალგაზრდებს, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ არმიის სიძლიერეს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობას.

**ე. გორელი.**

# ოლიმპიადის შედეგები

## მოსკოვის პრესა რუსთაველის თეატრის შესახებ

საბჭოთა საქართველოს განსაკუთრებულმა კოლორიტულმა ყოფა-ცხოვრებამ რუსთაველის თეატრის წინაშე წამოაყენა რთული ამოცანა. მას უნდა გამოენახა ისეთი ნაციონალური ფორმები, რომელთა საშუალებით ქართველ მაყურებლისთვის გასაგები და ნათესაური იქნებოდა თანამედროვე თემატიკა. ამიტომ იყო, რომ „ჯავშნოსნის" დადგმის დროს რუსთაველის თეატრმა სხვა თეატრებს არ მიბაძა და პიესა თავისებურად გადააკეთა ქართულ ისტორიულსა და ყოფა-ცხოვრებით პირობებთან შეფარდებით.

წარმოდგენა გაითამაშეს განსაცვიფრებლად. ქართველებში ყოველგვარმა თანდაყოლილმა თვისებამ — იშვიათმა პლასტიურმა მოძრაობამ, მუსიკალობამ, ცეცხლივით მგზნებარე ტემპერამენტმა, გამოწრთობილმა დიდი თეატრალური კულტურით, მოგვცა სრული და სავსებით ჩამოყალიბებული ფორმები. ამ ჩინებულ თეატრიდან შეგვეძლიან ბევრი რამ შევისწავლოთ.

**ნ. გონჩაროვი.**

სრულიად თავბრუდამხვევი იყო საზოგადოება ტემპერამენტით, დინამიკით და აქტიორულ წმინდა თამაშით, რაც გვიჩვენეს ჩვენმა სტუმრებმა. ეს არ იყო მარტო გაშიშვლებული „სტიქია", არც შედეგი „სამხრეთის ჰავის"; უდიდესი ვარჯიში (ტრენიროვკა). გამოკვეთილი ფაქტურა, შესანიშნავი მოხმარება აქტიორის სხეულის, განსაკუთრებული მოხმარება რეჟისორის მიერ „კოლექტიურ ორგანიზმის" სწორე და ფხიზელი აწონ-დაწონვა და გამოანგარიშება — ყველა ეს დიდი და საუკეთესო თეატრალური კულტურა გამოაშკარავებულ იქნა დიდის მოულოდნელობით ყველა „თავაწეულ" მოსკოველ თეატრალებისათვის.

ამის გარდა, რა დიდებული გრძნობა ზომიერების, მაგალითად, იმ სახიფათო მომენტში, როდესაც რევოლუციონური სპექტაკლები ჩვენი საუკეთესო თეატრებისაც კი ვარდებიან გადაჭარბებულ ესტეტიზმში: „ხალხური ლხინობა", სიმღერები, ცეკვა და სხვ... ახმეტელმა ერთი წუთითაც კი არ გადაამეტა. არავითარი პოპულარული „დივერტისმენტები", რაც მეშჩანურ მაყურებელს იტაცებს — არამედ მხოლოდ მკაცრი მიზანდასახულება და ნამდვილი რევოლუციური მიზანშეწონილობა.

**სადკო (ვეჩერ. მოსკვა).**

ამხ. ახმეტელმა შესძლო ერთის მხრივ დაყრდნობოდა იმ ნაციონალურ წარსულს, რომელიც მის განკარგულებაში იყო, ქართველ ხალხის მრავალ საუკუნოების კულტურას და მისი რიტმის თავისებურებას, მაგრამ ნაციონალური მომენტები არ



**ამხ. ენუქიძე, ახმეტელი და კარახანი**

გადაუჭარბებია. თავის თეატრის მთავარ შინაარსად აღებული აქვს თანამედროვე კლასიურ ბრძოლის პრობლემები. ეს რთული სოციალური კონფლიქტები გადაგვიშალა ადგილობრივ კავკასიის მასალათა მაგალითებით.

თავის მეცადინეობაში ამხ. ახმეტელი სრულიად სამართლიანად ჩამოსცილდა სტანისლავსკის სისტემას და უარყო ინტელიგენტურ ფსიქოლოგიზმის გადმოღება. მან ეს ტრადიცია ჩასთვალა უვარისად თეატრის მომავალ განვითარებისათვის. მან გამოძებნა სწორი გზა, რომ თეატრმა გამოხატოს ეპოქის დინამიკა, იმ სამი წარმოდგენით, რომლებითაც ამხ. ახმეტელი სოციალისტურად შეეჯიბრა ჩვენს თეატრებს (მოსკოვის პირველ სამხატვროს, ვახტანგოვის სახელობისას და მოსპს-ისას) ღირსეულად გაიტანა კონკურენცია და გვიჩვენა, რომ მისი მეთოდებით შეიძლება მიღწეულ იქნას დიდს ეფექტობას, ვიდრე იმ მეთოდებით, რომლებითაც მოსკოვის თეატრები მოქმედებენ.

უეჭველად, რუსთაველის სახელობის თეატრს ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს ჩვენს რესპუბლიკაში და უნდა ჩაიწეროს საკავშირო თეატრების პირველ ათეულში. გვიჩვენებს თეატრალურ კულტურის ისეთს სახეებს, რომლიდანაც მოსკოვის და ლენინგრადის თეატრებს შეუძლიათ ისწავლონ. ის ამსხვრევს შოვინისტურ ჩუჩქებს, თითქოს მოსკოვის გარეშე თეატრები არ არსებობდეს.

**პ. მ. კერჟენცევი.**

რუსთაველის სახელობის თეატრი დიდათ განირჩევა მეორე ქართულ თეატრისაგან, რომელიც აღმოცენდა განათლებულ და ნიჭიერ რეჟისორ მარჯანოვის გავლენით. როგორც ჩვენ წინად ალბათ შენიშნეთ, მარჯანოვის თეატრი თითქმის მოკლებულია ნაციონალურ ფერებს (Окраски) გარდა ენისა. წინააღმდეგ, რუსთაველის თეატრი საქართველოს ნამდვილი ნაციონალური თეატრია.

ნაციონალური თავის ფორმებით, რუსთაველის თეატრი საერთაშორისოა თავის მხატვრულ მნიშვნელობით. მიდის საკუთარის გზით, ჰქმნის თავის ახალ მხატვრულ ხერხებს და ახალ, ორიგინალურ, დიდ სტილს, და სახე-ნიმუშებს.

**კ. ფელდმანი.**

რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი. მოსკოვი ჰგონებს და მეც მოსკოვთან ერთად, რომ რუსთაველის თეატრი დგება მსოფლიო თეატრების პირველ რიგში.

ეს უპირველესად მიტომ, რომ ქართველები შესანიშნავი აქტიორული მასალაა. უდიდესი ტემპერამენტი, თამაშის სერიოზულობა, სიმსუბუქე მოძრაობის, გამომეტყველი მიმიკა — არაჩვეულებრივია! ყველაფერს ამას რაღაც „სიქალწულის" ბეჭედი აზის. ამასთან ერთად მათ აქვთ დიდი კულტურა, რაც საშუალებას აძლევს მია-

ღწიონ გარკვეულს და სრულყოფილ ფორმებს, რომლით გამოჰხატავენ აწმყოს, წარსულს, ქართველების და სხვა კავკასიის ერების.

**ა. ლუნაჩარსკი.**

## სიგელი რუსთაველის თეატრს

რუსთაველის სახელობის თეატრი წარმოადგენს განსაკუთრებით ბრწყინვალე და დიდ მოვლენას მსოფლიო თეატრალურ კულტურის დარგში. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ცილისწამების ატმოსფეროში ქართულ კულტურის დაცემის შესახებ, რომელსაც საზღვარ-გარედ ქართველი მენშევიკები ავრცელებენ.

რუსთაველის თეატრი ეკუთვნის იმ თეატრის იმ მცირე რიცხვს, რომლებიც საკითხს ხალი შემოქმედებითი მეთოდის შესახებ უშუალოდ და ახლოს მიუდგნენ. თეატრი ამ საკითხის გადაჭრის გზას, როგორც ეს მის დადგმებიდან სჩანს, (განსაკუთრებით „ანზორ“) ბურჟუაზიული თეატრის ინდივიდუალისტურ მეთოდის უარყოფაში მდგომარეობს. ამ მიმართულებით თეატრს აქვს დასახული კომპოზიციური ხერხები, ურთიერთობა კოლექტივსა და ინდივიდუალურ გმირს შორის მათ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში. ამ მიმართულებით თეატრს მონახული აქვს ყველაზე უფრო დიდი მიღწევები მასიურ სცენების აგებაში, რაც არ ანთავისუფლებს მას საჭიროებისაგან, შემდეგშიაც განაგრძოს მუშაობა სახეების ინდივიდუალურ გაგების გაღრმავებულ ხერხების გამონახვის გზით.

უნდა აღინიშნოს აქტიორთა მთელი კოლექტივის საუცხოვო შედუღება, მისი რიტმისა და სიტყვის არაჩვეულებრივი კულტურა, ანსამბლის მაღალ ტონესთან ერთად. ხაზი უნდა გაესვას მთელ რიგ გამოჩენილ აქტიორებს, რომლებიც დიდის ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი.

სპექტაკლების მხატვრული გაფორმება იძლევა სცენიურ ამოცანების ხელსაყრელ მარტივ და ყოფა-ცხოვრების ელემენტებისაგან დამორჩენილ გადაჭრას, ხაზების და მასების საინტერესო კომპოზიციებს. დიდათ კვალიფიციური რეჟისორული მუშაობა განირჩევა სპექტაკლის ყველა კომპონენტის ერთმანეთიან ოსტატურად შედუღებით და მათი საერთო სტილისა და აზრისადმი დაქვემდებარებით.

თეატრის დადებით შემოქმედებითი შესაძლებლობათა შემდეგი გაშლა და აგრეთვე შემდეგი დამუშავება შემოქმედებითი მეთოდისა, რომლის საფუძველიც თეატრს უკვე მოცემული აქვს, რუსთაველის სახელობის თეატრს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო დაწინაურდეს მსოფლიოს თეატრებს შორის და განამტკიცოს ის ადგილი ს.ს.რ. კავშირის თეატრებს შორის, რომელიც მან სამართლიანად პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე დაიკავა.

---

# მოძრავი თეატრი სოფლად

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დიდი ხანია მუშაობას აწარმოებენ სასოფლო მოძრავი თეატრები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის და კოლექტივიზაციის იდეის პროპაგანდის საქმეში.

თეატრები მოწყობილია ცეკავშირის ინიციატივით, რომლებიც მუშაობენ კახეთის ოლქში, საინგილოში და რაჭა-ლეჩხუმში. ამ მხრივ აღსანიშნავია სამეგრელოში მყოფი მომუშავე მოძრავი თეატრი, რომელმაც მეგრულ ენაზე ორი პიესა დადგა, რამაც მოსახლეობაში თეატრის ძალიან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

ყველა ამ თეატრების პროგრამა ძალიან მარტივი ფორმით არის მომზადებული. თეატრების რეპერტუარი შედგენილია შალვა დადიანის, ერისთავის და გოგიაშვილის მიერ, საერთო ხელმძღვანელია ამხ. გ. ბუხნიკაშვილი. ასეთივე თეატრი გაგზავნილი იყო აგრეთვე გორის ოლქში, სადაც თეატრმა უკვე დაამთავრა წარმოდგენების გამართვა.

გორის ოლქში გაგზავნილი თეატრი დაარსდა გასული წლის 15 დეკემბერს, თანახმად პოლიტგანათლების მთავარ საქართველოს მიერ მოწყობილ სპეციალურ თათბირის დადგენილებისა. დასი შედგა კაცისაგან და 3 ქალისაგან, რომლის კოლექტივის სახით, თეატრის მთავარი მიზანი იყო: შეექმნა მართლაც მოძრავი თეატრი, რომელიც წარმოდგენას დადგამდა ყველგან და არავითარი განსაკუთრებული სასცენო მოწყობილება არ დასჭირდებოდა. შინაარსი: თანამედროვე — კოლექტივიზაციის და კოოპერაციის საკითხები, გამოყენება ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვ.

დღემდე გორის ოლქში იმოგზაურა ას რვა დღე და გამართა 77 წარმოდგენა. თეატრმა მოგზაურობის დროს თავის ნამდვილ მიზანს მიაღწია, იგი მართლაც სასოფლო თეატრი იყო და გამართა წარმოდგენები ზოგ ისეთ პუნქტებში, სადაც თეატრალური მუშაობა ნახსენიც არ ყოფილა. თეატრს დიდი დამაბრკოლებელი მიზეზები ჰქონდა, მას მოუხდა მუშაობა ზამთრის სიცივეებში და გაზაფხულის წვიმიან დღეებში. არც ისეთი ადვილი საქმეა ამ დროს სოფლიდან სოფელში სიარული, მით უმეტეს გზების და გადასაზიდ საშუალებების ნაწილობრივ უქონლობის დროს.

ხშირი იყო შემთხვევები: ფეხით დადიოდნენ 8–9 კილომეტრის მანძილზე; თეატრს არ უძნელდებოდა ასეთ დაბრკოლებების გადალახვა, რადგან თეატრის გაფორმება ძალიან მარტივი იყო და ამასთანავე ერთად მსახიობებში დიდი სურვილი და ენერგია იყო მუშაობისა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მმართველი ორგანოები ყველგან, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს თეატრს, ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო არტელები დიდის ხალისით ეხმარებოდნენ ბინით, გადასაზიდ საშუალებებით, წარმოდგენების მოწყობაში, და სხვა. საერთოდ კოოპერატიულ ორგანიზაციებმა კარგად შეიგნეს თეატრის მიზანი. ბევრგან თანხებსაც კი იღებდნენ ღარიბ გლეხობისათვის ბილეთების შესაძენათ, ან კიდევ მთლიანად ყიდულობდნენ წარმოდგენას და უფასოდ უთმობდნენ მშრომელ გლეხკაცობას.

ის შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოახდინა გლეხობაზე თეატრმა საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ თეატრს მოუხდა მუშაობა კოლექტივიზაციის ჩატარების დროს და მით უმეტეს თავის შინაარსით იგი მართლაც მისაწვდომი გახდა გლეხობისათვის.

თეატრს ნაკლიც ჰქონდა, ეს იყო ერთფეროვანი სიტყვიერ გაფორმებაში, მაგრამ ეს სისუსტე ანაზღაურდა შინაარსით. თეატრის მიერ მოწყობილი თანამედროვე საკითხებზე სიმღერები და შაირები თითქმის ყველა სოფლებში დარჩა გადაწერილი და პოპულარული გახდა. გარდა ამისა, თეატრი ერთგვარ ნიმუშათ გადაიქცა ადგილობრივ დრამწრეებისათვის და ბევრგან ადგილობრივი თეატრალური მუშაობა ამით გამოცოცხლდა.

ცეკავშირმა ახლახან დაარსა თურქული მოძრავი თეატრი, რომელიც ამ მოკლე ხანში მიემგზავრება იქ, სადაც თურქი მოსახლეობა არის დასახლებული. თურქული თეატრი აგრეთვე წარმოდგენებს დასდგამს იალაღზე გასულ თურქ მოსახლეობასთან. პროგრამაში გამოყენებული იქნება კოლმეურნეობის და სამომხმარებლო კოოპერაციის საკითხები.

აღსანიშნავია ამხ. გ. ბუხნიკაშვილის ხელმძღვანელობა, რომელმაც მთელი ძალ-ღონე იხმარა იმისათვის, რომ სოფლად მოწყობილიყო მოძრავი თეატრები და მან ამ შემთხვევაში კიდეც მიაღწია მიზანს.

კასპის რაიონიდან დაბრუნებული თეატრი ხელახლად შეუდგა მზადებას გორის ოლქისათვის, რეპერტუარის დამუშავების შემდეგ დასი გაემგზავრა 1-ლ ივლისს, თეატრი მოწყობილია გორის საოლქო აღმასკომის ხარჯზე, თეატრის დანიშნულებაა გამართოს სააგიტაციო წარმოდგენები გორის ოლქის ყველა სოფლებში. უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს თეატრის შინაარსს, მუსიკალურ ილუსტრაციას. თეატრს თან ჰყავს სპეციალისტი გარმონის დამკვრელი და მეჩონგურე. გორის საოლქო აღმასკომი ამის შემდეგ მუდმივად აარსებს მოძრავ თეატრს სპეციალურად გორის ოლქისათვის. ასეთი მოძრავი თეატრის დაარსება, რომელსაც ხელისუფლება და პარტია დიდ მნიშვნელობას აძლევს, ჯერ არც ერთ ოლქს არ უფიქრია და დროა ამ საქმეს ოლქებმა მიაქციონ ყურადღება და გორის ოლქიდან მაგალითი აიღონ.

ასეთი თეატრი აუცილებლად დიდ სარგებლობას მოუტანს სოფლის მშრომელ გლეხობას, სოფლის კულტურის ამაღლებას, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას და კოლექტივიზაციის გაჯანსაღებას.

**ისაკო ციციაშვილი.**




# რამის პლანტაციებზე





სხვადასხვა სამუშაოები რამის პლანტა-ციებზე

უკან მოვიტოვეთ ქუთაისი, რიონი, გადავედით მდინარე წყალწითელაზე და მივედით სოფელ კვახჭირში—კენდირ-რამის საკავშირო ტრესტის ამიერ-კავკასიის სამეცნიერო-საგამომომკვლევო ოსადგურის ტერიტორიაზე. მაშინვე გავემართეთ 1---ით, რამის ამწვანებულ პლანტაციებისაკენ.

მინდვრად მუშაობაა. აფხვიერებენ მიწას, ასოფთავებენ მცენარეების ბუჩქებს, იწერავენ სპეციალურ წიგნებში მათი ზრდის მაჩვენებლებს. ჩვენს თვალწინ რამის დიდი რიგებია, რომლის დამუშავებაზედაც მუშაობენ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ძალები.

მიუხედავად რამის კულტურის სიახლისა, მისი ცალკე ბუჩქები საქართველოში ჯერ კიდევ 1841 წელს მოიპოვებოდა. უფრო ფართო გავრცელება რამის კულტურამ მოიპოვა გასული საუკუნის ბოლოში ლენქორანში, ზუგდიდში, ლაგოდეხში და სხვა რაიონებში, სადაც მის დამუშავებას ფრანგები აწარმოებდნენ. ფრანგებმა დიდი ფული დახარჯეს რამის კულტურაზე, მაგრამ მათი ცდები არ გამართლდა, საქმე ჩაიფუშა და რამი მივიწყებულ იქნა. მხოლოდ ზოგიერთ საცდელ სადგურებს ჰქონდათ რამდენიმე ბუჩქი.

ამჟამად კვახჭირის სადგურის მინდვრებზე რამის კულტურისათვის განოყიერებულია 20 ჰექტარი მიწა. სამუშაოს ამხ. იშკოვის თანხლებით დგურის დირექტორის, სამეცნიერო ჰემოვიარეთ რამის ნათესები. რამის შესახებ 1927 წელში ამბობდნენ, რომ ამ „მცენარეს მდიდარი, მაგრამ შორეული მომავალი აქვს“-ო. მაგრამ ეს „შორეული მომავალი“ უკვე დადგა, რამის კულტურას მიქცეული აქვს უდიდესი ყურადღება და შორს არ არის ის დღე, როდესაც რამი გამოყენებული იქნება ჩვენს საფეიქრო მრეწველობაში. შარშან დაწყებული საცდელი სამუშაოები წელს ფართოდ ტარდება. საბჭოთა ინჟინრებმა ამხ. მიშინმა და ლებედევმა გამონახეს რამის პირველადი დამუშავების საშუალება, ააგეს სპეციალური მანქანა, რომელსაც ახლო ხანში გამოსცდიან კვახჭირის პლანტაციებზე.

რამი ანუ ჩინური ჭინჭარი მრავალწლოვანი სუბტროპიკული მცენარეა და თავის ღეროში შეიცავს მაღალი ხარისხის ბოჭკოს, რომელიც ხარისხით ყველა სხვა ღეროიანი მცენარეების ბოჭკოებზე მაღლა სდგას. რამის ღეროები ირეცხება სპეციალურ ტუტოვან ხსნარებში, მიღებული ბოჭკო ხელახლა ირეცხება და იგზავნება მანქანებზე დასამუშავებლად. ჩვენი ინჟინრების საშუალებით მანქანა 8 საათის განმავლობაში ამუშავებს ერთ ტონა ღეროს. გამომგონებლების ძირითადი ამოცანაა—გაადიდონ ნაყოფიერება, გააუმჯობესონ თავიანთი გამოგონება.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ ყველა იმ სიძნელეებს, რომელთა დაძლევაც ჩვენ გვიხდება. ამბობს სადგურის დირექტორი,—თუნდაც სათესლე ფონდის მიღება იაპონიიდან. უნდოდათ ჩვენი მოტყუება, რამის თესლის მაგივრად სხვას გვიგზავნიდენ, მუშაობა ფერხდებოდა. ჩვენ საკუთარ თესლს ვერ ვენდობოდით და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინად, ცდების პროცესში, აღმოვაჩინეთ მისი ღირსება. მომავალში ჩვენ შემოვიტანთ მხოლოდ ხარისხოვან თესლს და პლანტაციებზე ჩვენს თესლს გამოვიყენებთ. საქმის დაწყებისას იჰვები იყო. ამბობდნენ, რომ რამი უნდა ყუთებში დაირგას და შემდეგ გადაირგას, საქმეზე კი უფრო იოლი აღმო-

ჩნდა, ჩვენ გაითამამდით და ვთიქრობთ რამი პირდაპირ პლანტაციებზე დავრგათ.

მართლაც, რამის კულტურაზე მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა მოსალოდნელი, დამუშავების საშუალებები უნდა შემოწმდეს, გაიაფდეს, უფრო რენტაბელური გახდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებულ პირობებშიაც კი, რამის ბოჭკო უფრო იაფი ეღირება, ვიდრე ეგვიპტიდან შემოტანილი ბამბა, რითაც ძვირფას ვალიუტასაც შემოვინახავთ. რამის პერსპექტივები კი უდიდესია. ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში შეიძლება რამის წარმატებით განვითარება. მისი განვითარების ძირითადი საკითხია მიწის საკითხი. ამჟამად რამი გაშენებულია მხოლოდ 40 ჰექტარზე კვახჭირში, ბათომში, ლენქორანში, გაგრაში, ადლერში, ზუგდიდში, სენაკში, მაგრამ არსებული მიწები არ არის საკმარისი. საჭიროა დაბლობების ამოშრობა, საჭიროა ჩატარდეს კონტრაქტაცია. უკვე მომავალ გაზაფხულიდან განზრახულია დაითესოს 10.000 ჰექტარი რამი, აქედან 3.500 ჰექტარი საბჭოთა მეურნეობებში და 6.500 ჰექტარი გლეხურ მეურნეობებში, რაზედაც დაიხარჯება ტრესტის პლანტაციებიდან მიღებული ერთი ტონა თესლი.

ამას წინად კვახჭირს უბედურება ეწვია. მდინარე წყალწითელა, განუწყვეტელი ნიაღვრებისაგან ადიდდა, ნაპირებიდან გადმოვიდა და დაფარა 5 ჰექტ. რამის საუკეთესო ნათესები. ეხლაც ეტყობა ბუჩქებს ამ უბედურების შედეგები — ისინი დაფარული არიან შავი ნალექით. მაგრამ სადგურის ყველაზე ძვირფასი ქონება — 5 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში შეგროვილი ლეროიანი მცენარეების ძვირფასი კოლექცია გადარჩა, რის შესახებაც ასე გახარებული მოგვითხრობენ აგრო - ტეხნიკოსები და პრაქტიკანტები.

ახლო მომავალში მოსკოვში ეწყობა ფაბრიკა-ლაბორატორია და ქუთაისში, ახალ სამეურნეო წლიდან, ქარხანა რამის პირველადი დამუშავებისათვის.

სადგურს მუშაობა უძნელდება მუშაკების კადრის უქონლობის გამო. ამიერ - კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაკონტრაქტებულია 10 სტუდენტი, სამუშაოზე გაყვანილი არიან ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის კურსდამთავრებულები. უკანასკნელებთან სწარმოებს მეცადინეობა. მომავალ წელს სუბტროპიკული კულტურების სპეციალურ ინსტიტუტში, რომელიც თბილისში ეწყობა, რამის სპეციალურ განყოფილებაზე დაკონტრაქტებული იქნება 50 სტუდენტი. გარდა ამისა, იხსნება ახალი ტეხნიკუმი კადრების მოსამზადებლად რამის პლანტაციებისათვის.

სიძნელეები ტრესტს ბევრი აქვს. დღემდე ვერ მოხერხდა იმ შენობის მიღება კვახჭირში, რომელიც ცალიერი სდგას, დღემდე სამეცნიერო-საგამომკვლევო სადგურის მუშაკები კვახჭირის გლეხების ოჯახებში ცხოვრობენ. მაგრამ ეს სიძნელეებიც გადალახული იქნება. კვახჭირის სადგურის 84 ჰექტარ მიწაზე მუშაობა იშლება, თანხები ერთ მილიონ მანეთამდე სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობისათვის გაღებულია, ენერგია სადგურის მომუშავეებში დიდია. ეხლა სადგურის მუშაკების მთელი ძალღონე მიმართულია რამის ხუთწლედის შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს რამის გაშენებას ამიერ-კავკასიაში 50 ათას ჰექტარზე. ყველა ნიშნებია იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულებული იქნება.

**ედ. შმერლინგი.**



მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხანა



კასპი. საჰაერო ელექტრო-მოწყობილობის
მონტაჟი რიონჰესის ქვესადგურისათვის.



საზღვარგარეთიდან მიღებული სასოფლო
გზის გასაყვანი მანქანა



მუშათა ახალი სახლი ლენინის რაიონში



ამიერ-კავკასიის მთავრობის დადგენილებით
შემოღებულია ახალი თურქული ანბანი ლა-
თინური ასოებით, რაც ბევრად აადვილებს
თურქული ენის შესწავლას: სურათზე—
კომკავშირელები უხსნიან მოხუც თურქს
ახალ ანბანს ნარიმანოვის კლუბში



მეაბრეშუმეობის რაიონებისათვის 26 კომუ-
ნარის სახელობის ქარხანა ამზადებს პარკის
სახმობებს

# ქრონიკა სურათებში



ბალტიის ფლოტის დიდი საშემოდგომო მანევრები
სურათზე—ფლაგმანის გემი „პარიჟის კომმუნა" მანევრების დროს ღია ზღვაში



რევოლიუციონერების დევნა იაპონიაში და ამერიკაში
სურათზე—ჯო კარრი 19 წლის, რომელსაც სიკვდილით დასჯა ელის



მთელ ინდოეთში გრძელდება იმპერიალისტების წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები

---



ბახმარო. გრიგალისაგან დანგრეული ერთ-ერთი კუთხე.

# იშვიათი იუბილე

მიმდინარე წლის ივლისში შესრულდა 20 წლისთავი, რაც საავიაციო ასპარეზზე მოღვაწეობა დაიწყო **ბესარიონ ქებურიამ.** 20 წლის წინად ამ დარგში მომუშავენი თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. ასეთი დიდი სტაჟით საბჭოთა ავიაციას მხოლოდ ამხ. ქებურია ჰყავს.

ჯერ კიდევ 1909 წელს ქებურია ახდენდა გაფრენებს თბილისზე საკუთარი კონსტრუქციის პლანერზე. ამავე წლისთავს ქებურიამ მიატოვა თავისი პლანერი და წავიდა საფრანგეთში ფრანგული ავიაციის მიღწევების თეორეტიული და პრაქტიკული შესწავლისათვის. ის შევიდა ცნობილ მფრინავ **ბლერიოს** სკოლაში, დიდის გულმოდგინეობით შეუდგა ფრენის საქმის შესწავლას და ბრწყინვალედაც დაამთავრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქებურია არც ერთხელ არ დამტვრეულა, რაც მაშინ დიდ მიღწევად ითვლებოდა.

საფრანგეთიდან ბლერიოს აპარატით დაბრუნების შემდეგ ქებურიამ მთელი რიგი გაფრენები მოახდინა ვარშავაზე, კიევზე, ნიჟნი-ნოვგოროდზე და სხვ. მაგრამ ბლერიოს აპარატი საკმაოდ მოძველდა, რის გამო მან რამდენჯერმე მარცხი განიცადა. ამის შემდეგ ქებურიამ ბლერიოს აპარატიც მიატოვა და შეუდგა საკუთარი კონსტრუქციის აპარატის აგებას, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა არსებულ აეროპლანებისაგან როგორც თავისი აეროდინამიური თვისებებით, ისე თავისი სილამაზით, სიმსუბუქით და სისწრაფით.

ეს იყო პირველი აპარატი აგებული რუსეთში 1910 წელს, რომლითაც ქებურიამ მრავალი საჩვენებელი გაფრენა მოაწყო თბილისზე, ქუთაისზე, ხონზე, ფოთზე და სხვ.

ასეთია ამხ. ქებურიას დამსახურება გმირული ეპოქის ავიაციის წინაშე.

იმპერიალისტური ომის დროს ამხ. ქებურია გაიწვიეს თურქეთის ფრონტზე, სადაც ის განაგებდა კავკასიის ავიო-რაზმის ტეხნიკურ ნაწილს.



**ბესარიონ ქებურია**

—

ომის დამთავრების შემდეგ ქებურიამ წინადადება მისცა მენშევიკურ მთავრობას მოეწყო საჰაერო მიმოსვლა ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ამაზე დასტური არ მიიღო და შეუდგა ავიაციის მეცნიერულ შესწავლას.

ამიერ-კავკასიის გასაბჭოების შემდეგ ამხ. ქებურია ერთი პირველი მოღვაწეთაგანია საბჭოთა ავიაციაში. დიდი აქტივობა გამოიჩინა ამხ. ქებურიამ საბჭოთა ავიაციის მეგობართა საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სადაც მრავალი წევრი მიიზიდა.

უკანასკნელ ხანებში ამხ. ქებურიამ დიდი ინიციატივა გამოიჩინა „უკრვოზდუხპუტ“-ისა და „დობროლიოტის“ შეერთების საქმეში, რაც მოხდა მიმდინარე წლის 20 იანვარს მოსკოვში, სადაც ერთხმად იქნა არჩეული „დობროლიოტის“ გამგეობის წევრად.

თავდაცვა-ავიაქიმის ამიერ-კავკასიის ყრილობაზე არჩეულ იქნა საზოგადოების პრეზიდიუმის და საბჭოს წევრად. ამხ. ქებურიას განზრახვა აქვს მოაწყოს თბილისში დიდი აერო-კლუბი

დიდია ამხ. ქებურიას დამსახურება ავიაციის დარგში, მაგრამ ყველას ჩამოთვლას არ გამოვუდგებით. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ ავიაციის დარგში 20 წლის მოღვაწეობის ისტორია, ეს თვით ავიაციის ისტორიაა.

ამ ჟამად ამხ. ქებურია 55 წლისაა, მაგრამ ის კვლავ არ იშურებს თავის ძალას და ენერგიას საყვარელი საქმისთვის.

ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ცაკის წინაშე, რათა ამხ. ქებურიას მიენიჭოს დამსახურებული მფრინავის სახელი.

**ლი.**

---

## დემიან ბედნი

# ფლიდები

ხუცეს იპატეს გაჩნდა ფული.
თქვენ არ გეგონოთ აქ სასწაული:
ლოცვა-ვედრებით აქვს მონაგარი
მამა იპატეს ესე ქანქარი...
მაგრამ დადგა დრო: უარჰყვეს
ღმერთი,
მლოცავი კაცი არ ჩანს არც ერთი,
მდიდრებს აუგეს ყველას ანდერძი,
მუაზე ჩატყდა ცხოვრების ლერძი,—
მაშინ სთქვა ხუცმა: დრო დადგა
ძნელი.

მეც არ დამზოგვენ იროდეს ძენი,
წამგლეჯენ რაც მაქვს მე შენაძენი.
ფულის შენახვა ძნელია შინა,
სჯობს უშიშარი ვუპოვო ბინა.
და რა იხელთა მან ღამე ბნელი,
ყუთი ფულითა აიღო ხელში
და გაეშურა საკურთხეველში.
მარჯვე ალაგას მიმალა ყუთი
და წააწერა ზედ სიტყვა ხუთი:
—„აქ ძევს უხრწნელი ქრისტეს
სხეული“...
ეს ყუთი, მაგრად გადახვეული,
ნახა მნათემ და,—წაწყმიდა სული,—

ამოკრიფა, შიგ რაც იყო ფული,
ამას არ კმარობს ეს გაიძვერა,—
ყუთზე წანაწერს ქვეშ მიაწერა:
—„ქრისტეს სხეული აქ აღარ დადგა:
ქრისტე აღსდგა!“

—:—

მნათე ფლიდია, არ უნდა ფიცი.
ხუცის ფლიდობაც ხომ კარგად ვიცით.
ორთავ ცრუიან, ორთავ ტყუიან,
ერთმანეთს ვერას დაემდურიან!
მხოლოდ ერთს ვშიშობ: ხუცმა ჯავ-
რითა
არ გამოიჭრას ყელი დანითა.

# ს ე ი რ ი

## (ციკლიდან: ახალი აჭარისტანი)

1.

ასეთი მღელვარება სოფ. ხიხაძირში ჯერ არავის ახსოვს. მზე კიდევ არ მიმალოდა ცად აზიდულ მთებს, ცივ სიოს ჯერ კიდევ არ დაებერა მუდამ თოვლით დაფარულ მწვერვალებიდან, ხალხი კი მოგროვილიყო პატარა მოედანზე და მოუთმენლად მასლაათობდა. სოფელი საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა. იგი არ გავდა საქართველოს დანარჩენ სოფლებს, სადაც საღამოობით, დღიურ მუშაობის შემდეგ ხალხი თავს იყრის კალოზე, საჯარო ადგილზე და გულუხვი კისკისი ფარავს მიდამოს. როცა აჭარის სოფელზე ლაპარაკობ, ხალხი ნიშნავს მამაკაცებს. ქალები სიიდან ამოშლილა.

ამ საღამოსაც მოედანი კაცებსა და ბავშვებს გაევსო. ცოტა მოშორებით გორაკზე, როგორც უჩვეულო ხმაურით დაშინებული ცხვრის ფარა, ერთმანეთს ეკროდენ შავი ფერეჯებით *) პირდაფარული ქალები. უხილავი თვალები, დამალული ღიმილი, ათასი იმედი და ოცნება ოდესღაც, სიცოცხლით მოკიწყებულ წარსულში სასტიკ რელიგიის მსახურს შავი ჩადრის ქვეშ დაემალა. უკვე ვეღარავის ახსოვს აჭარაში, თუ რისთვის, რატომ არიან პირახვეული ქალები. მხოლოდ ერთი იციან: ქალის მიერ პირის ახდა ცოდოა. ამ ცნობის დაუღალავად, ერთგულად სდარაჯობს ხოჯა. და აი ქალებიც ამ საერთო ზეიმის დროს ზევიდან, როგორც გარიყულნი, დასცქერიან ვაჟების მხიარულებას.

საერთო ყიჟინიდან ტაშტანის ხმა ყველაზე უფრო ხშირად ისმის. ტაშტან ირემაძე ებლახან დაბრუნდა ბათომიდან. მან პარტსკოლის კურსები დაასრულა. ეხლა იგი, ყოფილი მოჯამაგირე, უბინადრო, ქოხსამკითხველოს გამგეთ დანიშნეს და ტაშტანიც, რომელიც სოფლის ახალგაზრდობამ მისცა ქალაქს სასწრაფოდ, შეპირდა სოფელს არაჩვეულებრივ სანახაობის ჩვენებას.

— ვიცით, ალბათ გადაცმული ბიჭები იქნებიან...

— ყურბან-ბაირამზე **) შარშან გახსოვს ქქლები ***) რომ გავაწყვეთ სეირზე... ****)

ტაშტანი არ ეთანხმებოდა. აქ გადაცმას არ აქვს ადგილი. რასაკვირველია, თამაშია, მაგრამ სხვაგვარი, დიდი, ფართო ზეწარია და ზედ დადის ხალხი. ლაპარაკი არ ისმის, სიტყვები ზეწარზეა წაწერილი.

— მერე და ჩვენ კითხვა რომ არ ვიცით?..

ეს მართალი შენიშვნა იყო. მთელ სოფელში მარტო ტაშტანმა იცოდა წერა-კითხვა.

— ამხანაგებო! კინოს თან ახლავს ქალაქიდან ამხანაგი. იგი წაიკითხავს რაც სწერია და აგვიხსნის კიდეც.

მოხუცი ხოჯა დიდი ხანია გულდასმით უსმენდა ტაშტანს. ყველანი დაინტერესდენ ასეთი ამბით, ახალი სანახაობით, რომელიც ჯერ არც კი მოსულიყო სოფელში. ისე დაინტერესდენ, რომ ხოჯას მოსვლაც ვერ შეამჩნიეს. ხოჯა ისმენდა და მისი ფიქრები სხვა გზას მიყვებოდა. „კინო, ფიქრობდა ხოჯა, რა უნდა იყოს ეს კინო".

ამდენი ხანია ხოჯა სოფელშია, ყველაზე ძლიერულად, ყველაფრის მცოდნეთ ითვლება, არ არის ისეთი ავადმყოფობა, რომ ხოჯამ არ უწამლოს. რა უნდა მოხდეს ისეთი სოფელში, რომ ხოჯამ არ ახსნას, და უცბათ კინო. რა არის კინო? განა რომ მოინდოს ხალხი დაეკითხოს ხოჯას, აუხსნის? გასცემს პასუხს? ეწინააღმდეგება თუ არა კინო ყურანს? დაიძრა ავტორიტეტი. გადნა უსაზღვრო ნდობა, ბრძენის სახელი. ხოჯა დაუდ-ეფენდი საგონებელში ჩავარდა. იგი მოსცილდა ახალგაზრდობას და ძველ ნაცად მეგობართან, მოვახშეობის თანამოღვაწეებთან ჩამოჯდა მოედნის ყურეში. აქაც პირველი სიტყვა, რომელიც მეგობრისაგან გაიგონა, იყო კინო.

— დაუდ ეფენდი, ეს რა მოუგონია ამ ურჯულო ძეილებსა? ამბობს ყველაფერი შეიძლება დავინახოთ ზეწარზეო. გუშინ ასლანს ერთი ატოეზი მიეცა ოც ბანკანოტათ *).

— შესაძლებელია, ისმაილ-აღა, ყურანი ამბობს—ყველაფერი შესაძლებელია.

— ზომები უნდა მივიღოთ.

— მართალს ამბობ. მეც ვფიქრობ, როცა ზეწარი ამუშავდება, უნდა რითიმე დავანგრიოთ ეს ცოდო.

— ეს ჩემზე იყოს, დაუდ-ეფენდი, როცა მანქანა გაჩერდება, შენ სიტყვა უთხარი ხალხს.

2.

ახალგაზრდობის ხმაური უცბათ შეწყდა. გაისმა საყვირის ხმა და მოსახვევიდან მორდათ შემოსრიალდა მოედანზე მთავპოლიტგანის მოძრავი კინო. ავტოს კიანთა თვალებმა ხალხი შუაზე გაიპო. ბავშვები კვერნებივით მოედვენ გორაკის კალთას. კაცები მოედნის განაპირას ჩამწკრივდნენ და კინოსეანსისა მოედანზე მხოლოდ ამხ. ტაშტანი დახვდა.

ეს იყო პირველი წამი. მეორე წუთში ახალგაზრდობა უკვე გაცხოველებულ მუშაობაში იყო. მოედნის ერთი მხარეზე დაარჭვეს ორი ბოძი, რომლებს შორის გაფინეს თეთრი ზეწარი. ქალები ზეწარს უკან, გორაკზე მოკალათდენ. მოედანზე, ბალახის ხავერდით მოსილ მიდორზე კაცები და ბავშვები დალაგდენ. ამოძრავდა მოტორი და ბოძებზე გაინათლდა ორი ელნათურა. ბავშვები ტაშით, ყიჟინით და სტვენით შეხვდენ ამ უცხო სანახაობას. ზეწართან მთავპოლიტგანი ამხ. ვანო იდგა და ხსნიდა კინოს რაობას, მნიშვნელობას, სურათის შინაარსს.

რამდენათ ენათმეტყველი უნდა იყოს ორატორი, რამდენათ მდიდარი უნდა იყოს მისი ლექსიკონი, რამდენათ ძლიერი უნდა იყოს მისი გადმოცემა, რომ შესძლოს კინოს საიდუმლოების ახსნა ისეთ ხალხისთვის, რომლებსაც არასდროს არ უნახავთ ავტო, ელექტრო, ორთქლმავალი. რა გასაკვირია, რომ, თუხედავათ წინასწარი საუბრისა, მომზადებისა, ეკრანზე ადამიანების გამოჩენამ ხალხზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. ხოლო როცა პირველ გაკვირვებამ გაიარა, როცა ეკრანზე სიუჟეტი გაიშალა, ხალხი ჩაერია სურათის მსვლელობაში. მოქმედ პირთა ყოველი ნაბიჯი, კომიკური თუ დრამატიული მომენტი, გმირობა, ღალატი, თუ მეგობრობა—ყველაფერი ცოცხალ გამოძახილს პოვებდა დამსწრეთა შორის. მოედანზე ხმამაღალი გუგუნი იდგა. ლექტორის განმარტებები იძირებოდა მაყურებელთა ორიგინალურ შენიშვნებში.

ხალხი ისე გართული იყო სურათით, რომ რევოლვერის სროლა ზარბაზნის ხმათ მოესმა. მექანიკოსის ხელი შედრკა, სურათი შეწყდა და ორმა ელნათურამ კვლავ გაანათა შეშინებულ ხალხით სავსე მოედანი. არავინ იცოდა რა მოხდა. რევოლვერის ხმა სწორედ იმ დროს მოისმა, როცა ეკრანზე წითელარმიელმა თეთრგვარდიელს თოფი მიუშვირა.

რევოლვერის სროლაზე უფრო მოულოდნელი იყო ხოჯის გამოსვლა. მკრთალ სინათლეზე მოხუცი ხოჯა გძელ ყავარჯენზე დაყრდნობილი ნელის, მოთაფლულის ხმით ლაპარაკობდა:

— მართლმორწმუნენო! სანამდე მიყიდეთ თქვენი ცოდნება. გეშინოდეს ცოდვის, გეშინოდეს ალაჰის...

პირველი ამხ. ტაშტანი მოეიდა გონზე. მ... თვალწინ ელვის სისწრაფით გაიარა პარტსკოლის ლექციებმა: რელიგია წინააღმდეგია კულტურის, კულაკები და მღვდლები—ხოჯები მოკავშირეებია, საჭიროა სოფელში წიგნის, კინოს, განათლების შეტანა... ტაშტანი მიხვდა: ძველმა ცხოვრებამ დაიწყო ომი. პირველი გამოლაშქრება. ნუ თუ ტყვია მოხვდა მოტორს, მანქანას, ნუ თუ შეუძლებელი იქნება სურათის გაგრძელება... ხალხი ისე დაინტერესდა... მაგრამ ელექტრო ანათებს, მაშ მოტორი მუშაობს. თვალმა ეკრანს გადახედა, ტაშტანს გაეღიმა: ტყვიას ზეწარზე შეუმჩნევი კვალი დაეტოვებია. და უცბად ხოჯას თაფლის ხმა დაფარა ამხ. ტაშტანის ახალგაზრდულმა ყიჟინმა:

—ამხანაგებო! ხალხის მტერმა კინოს მოუზიდა ესროლა. მაგათ უნდათ, რომ ჩვენ სურათი არ ვნახოთ, რომ სეირი შეწყდეს. ამხანაგებო, ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო. თუ არ გინდათ სეირი, სთქვით და კინო წავა სხვა სოფელში.

მთავპოლიტგანმა იგრძნო რაშიც იყო საქმე და განზრახ მაღალი ხმით დაიძახა:

— აბრომ, ააწყვე ავტო. რადგან აქ არ უნდათ სურათი, მივდივართ სხალთაში...

მოედანი პარასკეობის ბაზრობას დაემსგავსა. საერთო ლაპარაკში და ყვირილში ძნელი იყო რისიმე გაგება. ერთი კი აშკარა იყო ხალხისთვის: ხოჯა სურათის წინააღმდეგია. სურათი კი ისეთი საინტერესო იყო... როდის მოვა აწი კინო ხიხაძირში!..

ორი ახალგაზრდა ეცა ხოჯას:

— სთქვი ვინ ისროლა, თორემ გაგათავებთ...

ხოჯა მიხვდა, რომ ხერხმა ვერ გასჭრა და ისევე ადვილათ, როგორც კინოს წინააღმდეგ გაილაშქრა, გასცა თანამოაზრე:

ისმაილ აღას ხელები გადაკრეს.

— მე რა შუაში ვარ,—თავს იმართლებდა ისმაილ-აღა—ხოჯა ამბობს, რომ ყურანი კრძალავს კინოს....

— შვილებო, ჩაერია ხოჯა, ყურანში კინოს შესახებ არაფერი სწერია... ვისაც უნდა ნახოს...:

ხოჯა გამოძვრა, მაგრამ არც ისმაილ-აღა იყო სულელი.

— მეზობლებო! მე ვთქვი ყურანი ამბობს.., ეხლა მეც მინდა კინო.... მაპატიეთ, ბოდიში.

ხალხი სიცილით შეხვდა ისმაილ-აღას ბოდიშს. ჯავრი გაქრა და ყველა ითხოვდა სურათის გაგრძელებას. ეკრანზე ისევ გამოჩნდა წითელარმიელი, რომელმაც, თითქოს იგრძნო მომხდარი მიზეზი, [illegible] თეთრგვარდიელს—პირდაპირ ხიშტზე აავო...

3.

დასრულდა სურათი. ხალხი მადლობას უხდიდა მთავპოლიტგანს და ხშირად ჩამოსვლას სთხოვდა. ყველაზე უფრო გაცხარებით ხოჯა და ისმაილ-აღა ეხვეწებოდა ქალაქელებს:

— ნუ დაგვივიწყებთ, ხშირად ჩამოდით.

ამხ. ტაშტანი ღიმილით უცქეროდა ხოჯას ფუსფუსს. ვანოს შეეკითხა:

— შეურიგდენ კინოს?

ტაშტანმა დინჯათ მიუგო:

— შეურიგდენ, მაგრამ სწორედ ამ შერიგებიდან იწყება ჩვენ სოფელში კლასთა ბრძოლა.

— არ შეცდე. დაამარცხე—დაგვეხმარე. ამ ბრძოლაში ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ.

— მესმის.

ავტო მობრუნდა. ერთხელ კიდევ შემოავლო თვალები მოედანს, ერთ წუთს კიდეც შეჩერდა ქალებით სავსე გორაკზე. თითქოს ჩაფიქრდა მათ ბედზე და მიმართა ქალაქის გზას.

სეირი დასრულდა. იწყება ბრძოლა ძველისა და ახალს შორის. ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ. ამის დამადასტურებელია პირველი კინო-სეანსი სოფ. ხიხაძირში.

გრ. ნუცუბიძე.

---

*) ფერეჯე—ჩადრის პირბადე, რომლითაც მუსულმანი ქალები სახეს იმალავენ.

**) ყურბან-ბაირამი—მუსულმანების დიდი რელიგიური დღესასწაული.

***) აჭარაში დღესასწაულზე ხშირად აწყობენ ყეენობას, კარნავალს.

****) სეირი—სანახაობა, აჭარაში ხალხის თავმოყრა ცეკვით, მღერით და სხვ. გარ-

*) ბანკანოტი—ქაღალდის ფული, აჭარაში ასე უწოდებენ თურქულ ლირას.



პ ი ო ნ ე რ ე ბ ი   ბ ა ნ ა კ ა დ

## იოსებ დავითაშვილი

კარგად მახსოვს იოსებ დავითაშვილი, მშვიდი, წყნარი, მორიდებული, მორცხვი.

მოვიდოდა „ივერიის" რედაქციაში შემოალებდა კარებს და გაჩერდებოდა.

— იოსებ, შენ უსაქმოდ არ მოხვიდოდი, გექნება რამე? — ვეტყოდით, რომ ცოტათი გაგვემხნევებინა და გაბედულობა მიგვეცა.

მაშინ იოსები უფრო მხიარულად გაიღიმებოდა, წაიღებდა უბეში ხელს და ამოაძვრენდა იქიდან რამდენჯერმე დაკეცილს ქაღალდს. კარგად ვიცოდით, რაც იყო ქაღალდში, მაინც ვეკითხავდით:

— იოსებ, ეს რა არის? რაზე გაჯილხარ?

ახლა კი გაპბედავდა ხმის ამოღებას და გვეტყოდა მორცხვობით: — აი, პატარა ლექსი მოგიტანეთ.

გადმოგვცემდა და ისევ მოწყენილი სახით დადგებოდა კარებთან, მანამ ჩვენ იმის ლექსს გადავიკითხავდით. თუ მოვიწონებდით, ისე გახარდებოდა, თითქოს დიდი, ძვირფასი რამ საჩუქარი.

გულუბრყვილო იყო იოსები, როგორც ბავშვი, და უმეტეს ნაწილ მის ლექსებში ეს გულუბრყვილობა არის გამოხატული. ტყუილად ხომ არ აილო საყმაწვილო ჟურ. „ჯეჯილმა" დევიზად თავის გამოცემისა დავითაშვილის ლექსი:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!

დავითაშვილი ხელოსანი იყო, დურგალი. მუდამ რაღაცა ტანჯული სახით გამოიყურებოდა. როცა კი მინახავს, სულ ერთი და იგივე ტანისამოსი ეცვა: ტანზე გარუჯული გახუნებული შალის ჩოხა, თავზე ასევე გახუნებული გარიბალდის ქუდი და ფეხზე ხარაზის ჩუსტები. ეს იყო მთელი მისი სამკაული.

არ დამავიწყდება, როგორ დაღონდებოდა ხოლმე და დაღრეჯდებოდა სახე, თუ ლექსს დავუწუნებდით. სწორედ პატარა ბავშვს მოგაგონებდით, რომელიც ტუჩებს კუმავს და სატირლად ემზადება, თუ მშობლებმა სურვილი არ აუსრულეს. დასამშვიდებლად და სანუგეშებლად ვეტყოდით ხოლმე:

— რას სწუხარ, იოსებ? განა შენ მარტო ხარ? ხშირად დიდრონ პოეტებსაც ვერ გამოუვათ ხოლმე კარგი ლექსი. რა უშავს? დღეს სუსტი გამოვიდა ლექსი, ხვალ უკეთეს დასწერ. გულს ნუ გაიტეხ. პირველად ხომ არ სწერ. რომ შენ ნიჭს ვაფასებთ, აქიდანაც დაინახავ, რომ „ჯეჯილის" პირველ გვერდს შენი ლექსი ამშვენებს: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო"...

ამ უკანასკნელ სიტყვების გაგონებაზე, ცოტა გული მოულბებოდა და შინ დამშვიდებული წავიდოდა.

ერთი ორი კვირის შემდეგ ჩვენი იოსები ისევ გამოჩნდებოდა, ისევ კარებში აიტუზებოდა და ჩვეულებრივი ღიმილით სუფთად დაკეცილ ქაღალდს გადმოგვცემდა.

**ი. მანსვეტაშვილი.**

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



აბრეშუმის ხართავი ფაბრიკა, მუშათა ბრიგადა საწ. საფ. გეგმას ამოწმებს.



ალავერდის სპილენძის სადნობი ქარხანა. სპილენძის მიზიდვა მარქსის სახ. ქარხანაში.



პურის აკრეფა სოფ. წავკისის კოლმეურნეობაში.

აბრეშუმის ხართავ ფაბრიკაში სამლებრო საამქრომ თავი დამკვრელად გამოაცხადა და მთლიანად შეასრულა საწ. საფ. გეგმა.





**ბათომი.** ნავთის გადამმუშავებელი ახალი ქარხნის აგება.





საბავშო ბაღი № 2-ის ბავშვები ფიზკულტურაში მეცადინეობენ.



კოლონების დადგმა ბათომის ნავთის საწმენდ ქარხანაში.



კასპის ცემენტის ქარხნის მთავარი კორპუსის აგება.



ახალი ოთხსახნისიანი გუთნის გამოცდა.

# ფიზკულტურა და სპორტი

## მოსკოვის გემო-კვების მუშაკთა გუნდი თბილისში

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში თბილისის ფიზკულტურული ცხოვრების ცენტრში კვლავ ფეხბურთი იდგა. თბილისს ესტუმრა მოსკოვის გემო-კვების მუშაკთა გუნდი, რომელიც უძლიერეს გუნდათ ითვლება წითელ დედა-ქალაქში. გემო-კვების მუშაკები ჩამოვიდნენ ორი გუნდის შემადგენლობით, ასე რომ შეიძლებოდა მათთან მრავალი შეჯიბრების გამართვა, მაგრამ თბილისი არ აღმოჩნდა მზად სტუმრების მისაღებად: საუკეთესო გუნდები („დინამო" და მელითონეები) იმ დროს თბილისში არ იყვნენ და სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდნენ შედარებით სუსტი გუნდები, რამაც ბოლოს და ბოლოს მოსკოველებზედაც იმოქმედა და მათ უკვე აღარ გამოჰყავდათ მინდორზე თავისი საუკეთესო მოთამაშეები.

მოსკოვის გემო-კვების მუშაკთა გუნდში მრავალი ცნობილი მოთამაშეა (ძმ. სტაროსტინები, ისაკოვი, ლეუტა და სხვები), რამდენიმე მათგანი შედის საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. სამწუხაროა რომ ჩვენ ვერ ვნახეთ ყველა ამ მოთამაშეების ერთად თამაში. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ეს მოთამაშეები თბილისში იმყოფებოდნენ, ისინი ერთად მაინც არ გამოდიოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ სუსტ მოწინააღმდეგესთან. თამაშობდნენ უმთავრესად სათადარიგო მოთამაშეები, ანდა ძირითადი მოთამაშეები ადგილების შეცვლით. მაგალითად, ხავბეკი თამაშობდა ფორვარდს და სხვ. მოსკოველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეხერხებათ სხვადასხვა ადგილზე თამაში. მაგალითად, ლეუტა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ხავბეკათ ითვლება მოსკოვში, თბილისში თამაშობდა მარჯვენა გარე-ფორვარდს და თამაშობდა ისე, რომ ყოველ ადგილობრივ „ჩემპიონს" შეშურდებოდა მისი თამაში.

პირველად სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის გუნდი. ეს გუნდი დიდი ხანი არ არის რაც ჩამოყალიბდა და უკვე მნიშვნელოვან ძალად გადაიქცა. რკინისგზელების ახალგაზრდა გუნდმა თავისი საკმაოდ მაღალი დონე გამოამჟღავნა მოსკოველებთან შეჯიბრებაშიც: მატჩი დამთავრდა 2:2, რაც სარემონტო ქარხნის გუნდის უეჭველ წარმატებას მოწმობს.

შემდეგ შეჯიბრებაში მოსკოველებთან თამაშობდნენ „დინამო-მეორე", პროფკავშირების მეორე ნაკრები გუნდი და ისევ „დინამო" 2. ამ უკანასკნელმა პირველი შეჯიბრება წააგო 0:4, ხოლო მეორე მოიგო 3:1, რაც შეეხება პროფკავშირების ნაკრებ გუნდს, მან მატჩი წააგო 2:4.

ამრიგად, ოთხი შეჯიბრებიდან თბილისმა ერთი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ორი წააგო. თუ ამ შედეგს შევადარებთ ორეხოვო-ზუევოს გუნდთან თამაშს, უნდა ითქვას, რომ აქ ერთგვარ წარმატებას აქვს ადგილი. ორეხოვო-ზუეველებმა ოთხივე შეჯიბრება მოიგეს საერთო ანგარიშით 20:5. მოსკოველების მიერ ჩატარებული შეჯიბრებები კი დამთავრდა 11:7 მოსკოვის სასარგებლოდ.

თუ შევადარებთ ერთმანეთს მოსკოვის და ორეხოვო-ზუევოს გუნდების თამაშს, უნდა ითქვას, რომ თბილისში ორეხოვო-ზუევოს გუნდი უფრო კარგად თამაშობდა, თუმცა მოსკოვში ეს გუნდი ყოველთვის აგებს გემო-კვების მუშაკების გუნდთან. ჩვენის აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ გემო-კვების მუშაკებს თბილისში არც ერთი შეჯიბრება არ ჩაუტარებიათ თავისი ძირითადი შემადგენლობით.

საერთოდ, წელს ფეხბურთის საქალაქთაშორისო შეჯიბრებების სეზონი მეტად საინტერესო გამოდგა. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ თბილისში ვნახეთ მოსკოვის, ორეხოვო-ზუევოს, ბაქოს, ერევნის, ბათუმის და ფოთის გუნდები. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ეს შეჯიბრებები უშედეგოთ არ ჩაივლის ჩვენი ფეხბურთელებისათვის და ისინი სათანადო დასკვნებს გამოიტანენ იქიდან.

## მელითონეების დაბრუნება

საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა თბილისის მელითონეთა გუნდი, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში შემოიარა ნიკოლაევი, დნეპროპეტროვსკი, ხერსონი და უკრაინის სხვა ქალაქები. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოგზაურობა მაინცდამაინც ხელსაყრელი ყოფილიყოს მელითონეებისათვის. მთელ რიგ გამარჯვებებთან ერთად, მათ მთელი რიგი სერიოზული დამარცხება განიცადეს და შეჯიბრების საერთო ბალანსში გამარჯვებას და დამარცხებას თითქმის თანაბარი ადგილი უჭირავს. პირველი შეჯიბრება ნიკოლაევში დამთავრდა თბილისელი ფეხბურთელების დამარცხებით 0:1, დნეპროპეტროვსკში პირველი შეჯიბრება დამთავრდა თბილისის მნიშვნელოვანი გამარჯვებით 7:1, ხოლო მეორე — ჩვენი ფეხბურთელების დამარცხებით. ხერსონში თბილისელებმა მოიგეს ორივე შეჯიბრება და ა. შ.

ეს მოგზაურობა უეჭველად დადებითად იმოქმედებს მელითონეებზე. მელითონეთა გუნდი ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია თბილისში. გუნდს ყველაფერი ხელს უწყობს, რომ მძლავრ კოლექტივად გადაიქცეს. საჭიროა მხოლოდ თამაშის ტეხნიკის გაუმჯობესება და დისციპლინის განმტკიცება მოთამაშეთა შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ საგასტროლო მოგზაურობა მათ სათანადო გამოცდილებას მისცემდა ამ მხრივ.

## საბანაო უნდა გადაეცეს ფიზკულტურის საბჭოს

თბილისის საბანაოს შესახებ ბევრი დაიწერა გაზეთებში. საბანაო სასარგებლო წამოწყებიდან გადაიქცა უსარგებლო და მავნე წამოწყებად. საბანაო, მისი ორგანიზაციის პერიოდში, მიზნად ისახავდა ჰიგიენის ამოცანებს, ნამდვილად კი წინააღმდეგი გამოვიდა: საბანაო ხელს უწყობდა სხვადასხვა სენების გავრცელებას. ყველა ამის მიზეზი იყო ის, რომ საბანაო არ არის სათანადოთ მოწყობილი: საბანაო ხშირად არ იწმინდება, წყალი მღვრიე და ბინძურია, არ არის საქმიო მეთვალყურეობა მობანავეებზე, წესრიგის დაცვას თვალყურს არავინ ადევნებს.

ყველა ამის გამო კომუნალური განყოფილება იძულებული შეიქნა დაეხურა დროებით საბანო და შესდგომოდა მუშაობას მის გადასაკეთებლად. საბანაოს მდგომარეობა გამოიკვლია სპეციალურმა ბრიგადამ ექიმებისა და მუშების შემადგენლობით, რომელმაც აუცილებლად სცნო საქმიო მეთვალყურეობის შემოღება მობანავეებზე, ჰიგიენის ელემენტარული წესების დაცვა, წყლის ხშირად გაწმენდა და საბანაოს დაინტერესებულ ორგანიზაციებისათვის — ფიზკულტურის საბჭოსა ან საქ. პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალური ბიუროსათვის გადაცემა.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ საბანაოს აღნიშნულ ორგანიზაციებზე გადაცემა უაღრესად მიზანშეწონილი იქნება, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თბილისში არ არის არც ერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდეს წყლის სპორტის განვითარება. საბანაოს კი ამ მხრივ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

**ლანდა.**



**წალვერი.** ფიზკულტმოედნის საზეიმო გახსნა. თამაში ფრენბურთით.



**წალვერი.** ფიზკულტმოედანი. ბავშვების ვარჯიში.

-37

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 1831. ტირაჟი 6300. შეკვ. № [illegible]340